# საქართველოს მთავრობის

# დადგენილება №252

**2013 წლის 2 მოქტომბერი**

**ქ. თბილისი**

## საქართველოს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგიის დამტკიცების შესახებ

**მუხლი 1**

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ფ“ ქვეპუნქტისა და მე-6 მუხლის საფუძველზე დამტკიცდეს თანდართული საქართველოს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგია.

**მუხლი 2**

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**პრემიერ-მინისტრი** **ბიძინა ივანიშვილი**

## ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგია 2013-2014

**თბილისი**

**2013**

### შესავალი

ორგანიზებული დანაშაული, თავისი მასშტაბებითა და გავლენით, რეალურ საფრთხედ იქცა კაცობრიობისთვის. თანამედროვე მსოფლიოში დიდი მნიშვნელობა ენიჭება აღნიშნული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას, რადგანაც იგი ხელყოფს საზოგადოების ფუნდამენტურ ღირებულებებს. ორგანიზებული დანაშაულის კერებში პოტენციური დამნაშავეების მოზიდვა სწრაფი და იოლი ხერხებით ხდება. კერძოდ, ორგანიზებულ დანაშაულში მატერიალური გამორჩენის მიზნით შეიძლება ჩაბმული იქნენ მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფი საზოგადოების წარმომადგენლები.

ორგანიზებული დანაშაულისა და მისი ყველა გამოვლინების წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. ქვეყანაში ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის თვალსაზრისით, მიღწეულია სერიოზული პროგრესი. განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები, როგორიცაა საქართველოს კანონი „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ", სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი, ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსში და სხვა საკანონმდებლო აქტები, ორგანიზებული დანაშაულის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიან სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს. საქართველო არის „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ" გაეროს კონვენციისა (ე.წ.„პალერმოს" კონვენცია) და მისი ორი დამატებითი ოქმის მონაწილე. ამ საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტების შესაბამისად, გარკვეული ცვლილებები შევიდა ეროვნულ კანონმდებლობაში.

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში მიღწეული შედეგების შენარჩუნების, გაუმჯობესებისა და არსებული მექანიზმების დახვეწის მიზნით, საერთაშორისო რეკომენდაციების გათვალისწინებით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, შეიქმნას ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგია. დოკუმენტის მიზანია, ხელი შეუწყოს ორგანიზებული დანაშაულის პრევენციას და მის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდას.

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგია განახლებადი დოკუმენტია და მისი იმპლემენტაციის შედეგად მიღებული გამოცდილების საფუძველზე, შესაძლებელია შესაბამისი ცვლილებების განხორციელება. აღნიშნული სტრატეგიის საფუძველზე, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭო შეიმუშავებს და დაამტკიცებს სამოქმედო გეგმას, რომელშიც ასახული იქნება ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებები, მიზნები, ამოცანები, გასატარებელი ღონისძიებები, შეფასების ინდიკატორები, მოსალოდნელი შედეგები, განხორციელების ვადები, პასუხისმგებელი და პარტნიორი უწყებები, საჭირო ფინანსური რესურსები. ამასთან, შესაბამისმა უწყებებმა უნდა გამოყონ საკონტაქტო პირები, რომლებიც პასუხისმგებელნი იქნებიან ამ უწყებებზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების კოორდინაციაზე.

ორგანიზებული დანაშაულის ისეთი ფორმების წინააღმდეგ ბრძოლაზე, როგორიცაა კორუფცია, ნარკოტიკებით ვაჭრობა და ტრეფიკინგი, არსებობს ცალკე სტრატეგიები ან/და სამოქმედო გეგმები, რომლებშიც ვრცლად არის გაწერილი აღნიშნული მიმართულებები.

აქედან გამომდინარე, მოცემულ სტრატეგიაში განხილულია „ქურდული სამყაროსა" და სხვა ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების წინააღმდეგ ბრძოლა, გატაცებული ავტომობილების გამოვლენა და კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, თითოეულ სფეროში არსებული ვითარება, გამოწვევები, მიზნები, ამოცანები და გასატარებელი ღონისძიებები.

## 1. ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებები

### 1.1. „ქურდული სამყაროსა" და სხვა ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების წინააღმდეგ ბრძოლა

ორგანიზებულ დანაშაულს გააჩნია სხვადასხვა გამოვლინება, როგორიცაა ნარკოტიკებით, ცეცხლსასროლი იარაღით, ფეთქებადი ნივთიერებებითა და ანტიკვარული ნივთებით უკანონო ვაჭრობა, კონტრაბანდა, ტრეფიკინგი, თაღლითობა, ადამიანის ან სხვისი ქონების გატაცება მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით. ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები ასევე ჩართულნი არიან კორუფციასა და უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციაში (ფულის გათეთრება).

ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების ერთ-ერთ გავრცელებულ სახეს წარმოადგენს „ქურდული სამყარო", რომელიც თავისი კრიმინალური შინაარსით მოიცავს სხვადასხვა დანაშაულებრივ საქმიანობას. საკუთარი მიზნების მისაღწევად ქურდული სამყაროსთვის დამახასიათებელია მუქარა, დაშინება, იძულება, ქურდული გარჩევები, დანაშაულებრივ საქმიანობაში არასრულწლოვნების ჩართვა და სხვა. ორგანიზებული დანაშაულის ერთ-ერთი სახეა რეკეტიც, რომელიც ხშირად „ქურდული სამყაროს" ერთ-ერთ წამყვან საქმიანობას წარმოადგენს.

დღეისათვის, „ქურდული სამყაროს" წინააღმდეგ ბრძოლაში მიღწეულია სერიოზული წარმატებები. საქართველოს ხელისუფლებამ ორგანიზებული დანაშაულის, მათ შორის „ქურდული სამყაროს" წინააღმდეგ მთელი რიგი ღონისძიებები გაატარა. მიღებულ იქნა კანონი „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ", ცვლილებები შევიდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში. აღნიშნული მიზნად ისახავს ე.წ. „ქურდული სამყაროს", მისი წევრებისა და რეკეტის წინააღმდეგ ბრძოლას, ითვალისწინებს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ე.წ. „კანონიერი ქურდობისა" და რეკეტისთვის, ისევე როგორც

„ქურდული სამყაროსა“ და რეკეტული დაჯგუფების წევრობისთვის. სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს დანაშაულებრივი გზით მოპოვებული, უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევას. გარდა ამისა, კანონი „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“ განმარტავს რეკეტის შედეგად მიღებულ და „ქურდული სამყაროს“ წევრის ქონებას. კანონის მიხედვით, ზემოხსენებული ქონება ექვემდებარება ჩამორთმევასა და კანონიერი მფლობელისთვის გადაცემას. კანონიერი მფლობელის დაუდგენლობის შემთხვევაში კი ჩამორთმეული ქონება გადაეცემა სახელმწიფოს. მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა ასევე სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში, რომელიც განსაზღვრავს რეკეტიორების, „კანონიერი ქურდების“, ისევე როგორც სხვა უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ გადაცემის პროცედურებს.

საკანონმდებლო ცვლილებები ასევე განხორციელდა ორგანიზებული დანაშაულის მსხვერპლთა, მოწმეთა, სასამართლო პროცესის სხვა მონაწილეთა და მათი ოჯახის წევრთა დამნაშავეებისგან დაცვის მიმართულებით.

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით, ასევე მნიშვნელოვანია საქართველოს კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“, რომელიც იძლევა ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოების მიერ ღიად ან კონსპირაციის წესების დაცვით, ცნობების შეგროვებისა და ვიზუალური კონტროლის, პიროვნების იდენტიფიკაციისა და სხვა სახის ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარების შესაძლებლობას. ამ საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების შედეგად, დაპატიმრებულ იქნენ სხვადასხვა მძიმე დანაშაულში მხილებული კანონიერი ქურდები და კრიმინალური „ავტორიტეტები“. ამგვარი ტენდენციის პირობებში, კრიმინალთა ძირითადმა ნაწილმა დატოვა ქვეყანა.

საქართველოს პენიტენციალურ სისტემაში ჩატარებული სხვადასხვა პრევენციული ღონისძიებებიდან, პირველ რიგში, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ „კანონიერი ქურდები“ იზოლირებულნი არიან სხვა პატიმრებისგან. „ქურდული სამყაროს“ წევრების მიმართ მუდმივი ოპერატიული მეთვალყურეობა ხორციელდება. პრევენციის მიზნით, ინტენსიურად ხდება მათი დანაშაულებრივი კავშირების შესწავლა. „ქურდული სამყაროსა“ და ზოგადად, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით საქართველოს სამართალდამცავი სტრუქტურები აქტიურად თანამშრომლობენ საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის უწყებებთან.

აღნიშნული ცვლილებების შედეგად, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლამ პოზიტიური შედეგი გამოიღო. თუმცა, ეს მხოლოდ საწყისი ეტაპია და აუცილებელია აღნიშნული შედეგების შენარჩუნება და გაუმჯობესება.

**გამოწვევები**

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა და ოკუპირებული ტერიტორიების არსებობა მიმზიდველი ფაქტორია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებებისთვის. ამას ემატება ქვეყანაში არსებული უმუშევრობის მაღალი დონე და მძიმე სოციალური ფონი.

ქვეყნის გარედან შეინიშნება „ქურდული სამყაროს“ გავლენის აღდგენის მცდელობაც. რუსეთის ფედერაციაში და სხვა სახელმწიფოებში „ქურდული სამყაროს“ მოქმედი ქართული დაჯგუფებები ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ კრიმინალურ სინდიკატად ითვლება, რამაც შეიძლება საქართველოში არსებულ კრიმინოგენულ და პოლიტიკურ ვითარებაზე გარკვეული ზეგავლენა იქონიოს.

ორგანიზებული დანაშაულის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია საზოგადოების არასათანადო ინფორმირებულობა. „ქურდული სამყარო“ საზოგადოების ამა თუ იმ წრეში კვლავაც გარკვეული პოპულარობით სარგებლობს. ამ მხრივ, საზოგადოების ყველაზე მოწყვლადი ნაწილი მოზარდები და სოციალურად დაუცველი ფენის წარმომადგენლები არიან, რომლებიც სხვადასხვა მიზეზების გამო ადვილად ექცევიან კრიმინალური „ავტორიტეტებისა“ და ზოგადად, კრიმინალური სამყაროს გავლენის ქვეშ. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს საზოგადოებრივი მართლშეგნებისა და ცნობიერების ამაღლება არსებულ საკითხებთან დაკავშირებით.

„ქურდული სამყაროს“ დიდი ნაწილის დამარცხების შედეგად, კრიმინალები იმყოფებიან პენიტენციალურ სისტემაში. თუმცა, მათი შეხედულებები და დამოკიდებულება „ქურდული სამყაროსადმი“ უცვლელი რჩება. ისინი ცდილობენ აღნიშნული ინსტიტუტის ტრადიციების შენარჩუნებასა და ციხიდან კრიმინალური სამყაროს მართვას. სწორედ ამიტომ, დიდი მნიშვნელობა აქვს ციხეებში არსებული მდგომარეობის კონტროლს. მნიშვნელოვანია, დამნაშავეებს არ მიეცეთ ციხიდან კრიმინალური სამყაროს მართვის შესაძლებლობა. ამ მიზნით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ციხეში მყოფი კრიმინალებისა და ციხის გარეთ მყოფი პირების კომუნიკაციის კონტროლს, კერძოდ, აკრძალული ნივთების (მათ შორის, მობილური ტელეფონების)

პენიტენციალურ დაწესებულებებში შეღწევის პრევენციას და აღკვეთას. მათი არსებობა, ხელს უწყობს „ქურდული სამყაროსა“ და სხვადასხვა ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების წევრებს დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებაში. გარდა ამისა, აკრძალული ნივთების პრობლემა კორუფციის საფრთხესაც წარმოშობს.

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის მიზნით, ასევე მნიშვნელოვანია შესაბამისი უწყებების შესაძლებლობების გაძლიერება და კოორდინირებული მუშაობა.

**მიზნები**

- **საზოგადოების ცნობიერების ამაღლება**

- **საზოგადოების ინფორმირება**

ორგანიზებული დანაშაულის პრევენცია და მასთან ბრძოლა, მხოლოდ მაშინ არის ეფექტიანი, როდესაც ამ პროცესებში სამართალდამცავ სტრუქტურებთან ერთად ჩართულია საზოგადოებაც. მიზანშეწონილია შესაბამისმა უწყებებმა, კომპეტენციის ფარგლებში, გაატარონ ორგანიზებული დანაშაულის საფრთხეების შესახებ, მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში მოქალაქეთა თვითშეგნების ამაღლებისა და ჩართულობისთვის საჭირო საინფორმაციო კამპანიები. ასევე, მნიშვნელოვანია მოხდეს საზოგადოების ინფორმირება ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში მიღწეული წარმატებების შესახებ.

- **სკოლების პედაგოგებისა და მანდატურების გადამზადება**

სკოლებში დანაშაულის პრევენციისა და მართლმსაჯულების საკითხების შესახებ მოზარდთა ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, აუცილებელია მასწავლებლებისა და მანდატურებისათვის ტრენინგების ჩატარება.

- **სკოლის მოსწავლეთა სამოქალაქო და სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება**

საჯარო სკოლებში მიზანშეწონილია გაგრძელდეს საგნების „სამოქალაქო განათლება“ და „სამართლებრივი კულტურა“ სწავლება, სადაც განიხილება ორგანიზებული დანაშაულის საფრთხეების შესახებ საკითხები.

სკოლებში აუცილებელია საინფორმაციო შეხვედრების გამართვა სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენლებისა და სხვა კომპეტენტური პირების მონაწილეობით, ორგანიზებული დანაშაულის საფრთხეებზე, მის წინააღმდეგ ბრძოლასა და სხვადასხვა აქტუალურ სამართლებრივ თემებზე.

ასევე, მნიშვნელოვანია სკოლის მოსწავლეების საინფორმაციო ხასიათის ვიზიტები სამართალდამცავ უწყებებში, სადაც ისინი გაეცნობიან ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის კუთხით ამ უწყებების საქმიანობას.

- **რისკის ქვეშ მყოფ მოზარდთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია**

მანდატურის სამსახურის ბაზაზე შექმნილია და დახვეწის პროცესშია ფსიქოლოგიური ცენტრები, რომელიც კვალიფიციურ ფსიქო-სოციალურ მომსახურებას სთავაზობს 6- დან 18 წლამდე რისკის ჯგუფებს, ქცევითი და ემოციური პრობლემების მქონე მოზარდებსა და მათ ოჯახებს. მიზანშეწონილია დამატებით მსგავსი ცენტრების გახსნა.

- **რისკ ჯგუფების ორგანიზებულ დანაშაულში ჩაბმის პრევენცია**

- **სოციალურად დაუცველი ფენების, ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირების და პრობაციონერების ინფორმირება ორგანიზებულ დანაშაულში ჩაბმის პრევენციის მიზნით**

მნიშვნელოვანია საზოგადოების რისკ ჯგუფების, მათ შორის, სოციალურად დაუცველი ფენების ინფორმირება ორგანიზებული დანაშაულის საფრთხეებისა და შედეგების შესახებ. ასევე, აუცილებელია ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩამდენ პირთა და პრობაციონერთა ცნობიერების ამაღლება, მათი კრიმინალური კარიერის თავიდან აცილების მიზნით.

- **პენიტენციალურ სისტემაში ფსიქო-სოციალური სამსახურის გაძლიერება და მსჯავრდებულთა**

ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია

- პენიტენციალურ სისტემაში ფსიქოლოგის ინსტიტუტის გაძლიერება

მსჯავრდებულთა სრულფასოვანი რესოციალიზაცია/რეაბილიტაციისა და განთავისუფლების შემდეგ, საზოგადოებაში მათი ჯანსაღი ინტეგრაციის მიზნით, აუცილებელია განვითარდეს და დაიხვეწოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ფსიქოლოგიური სერვისი.

- პენიტენციალურ სისტემაში სოციალური მუშაკის ინსტიტუტის გაძლიერება

სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის ეფექტური განხორციელების მიზნით, მიზანშეწონილია სოციალური მუშაკების როგორც მულტიდისციპლინარული გუნდის მნიშვნელოვანი ნაწილის, მაქსიმალური ჩართვა მსჯავრდებულთა საჭიროებების მოკვლევისა და რისკების გამოვლენის პროცესში.

– პატიმართა ინტერესთა სფეროს გაფართოება და დაკავებულობის ხარისხის გაზრდა

აუცილებელია სასჯელაღსრულების ნახევრად ღია დაწესებულებებში პროფესიული და სახელობო პროგრამების დანერგვა/განხორციელება. აღნიშნული ხელს შეუწყობს პატიმართა ინტერესთა სფეროს გაფართოებას, გაზრდის მათ დაკავებულობას და შეამცირებს ამა თუ იმ მავნე ჩვევისადმი დამოკიდებულებას. ეს, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სასჯელაღსრულების დაწესებულების დატოვების შემდეგ, მათი კრიმინალური კარიერის თავიდან აცილებას.

- ინდივიდუალური მიდგომების დანერგვა

**მიზანშეწონილია, ეტაპობრივად სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში მსჯავრდებულთა მიმართ ინდივიდუალური მიდგომების დანერგვა, რა დროსაც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული მათი ინდივიდუალური სირთულეები, უნარები და საჭიროებები. საჭიროების შესაბამისად, აუცილებელია მსჯავრდებულთა რისკის შეფასებისა და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მიზნით ინდივიდუალური გეგმების შემუშავება და მსჯავრდებულების ჩართვა სხვადასხვა პროგრამაში.**

• პრობაციის სისტემაში პირობით მსჯავრდებულთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია

- პრობაციის სისტემაში ფსიქოლოგის და სოციალური მუშაკის ინსტიტუტის გაძლიერება

პირობით მსჯავრდებულთა შორის განმეორებითი დანაშაულის შემცირების მიზნით, მეტად მნიშვნელოვანია პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ ფსიქოლოგისა და სოციალური მუშაკის სერვისის გაძლიერება.

პრობაციონერთა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის მიზნით, თბილისის პრობაციის ბიუროში მუშაობს ფსიქოლოგი. აუცილებელია ფსიქოლოგის სერვისის დანერგვა ეტაპობრივად ყველა რეგიონულ ბიუროში.

არასრულწლოვანთა რეაბილიტაციის მიზნით, პრობაციის სააგენტოში დანერგილია სოციალური მუშაკის ინსტიტუტი. სოციალურ მუშაკებთან ერთად შესაბამისი უნარ-ჩვევების შესაძენად, აუცილებელია პრობაციის ოფიცრების გადამზადება.

- ინდივიდუალური მიდგომების დანერგვა

პრობაციონერთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მიზნით, პრობაციის სისტემაში მნიშვნელოვანია სასჯელის ინდივიდუალური გეგმების შემუშავება და შესაბამისად, პრობაციონერთა ჩართვა სხვადასხვა პროგრამაში.

• სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ორგანიზებული დანაშაულის პრევენცია

- სასჯელაღსრულების დაწესებულებების გამშვებ პუნქტებზე კონტროლის ხარისხის შენარჩუნება/გაუმჯობესება

ციხეებში აკრძალული ნივთებისა (მათ შორის, მობილური ტელეფონების) და საშუალებების შეღწევის თავიდან აცილების მიზნით, დაწესებულებების გამშვებ პუნქტებზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შემსვლელების, ამანათებისა და გზავნილების შემოწმებას.

- მუდმივი დაკვირვება „ქურდული სამყაროს“ წევრებსა და „კანონიერ ქურდებზე“

დანაშაულის პრევენციის მიზნით, აუცილებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით, მიმდინარეობდეს მუდმივი დაკვირვება „ქურდული სამყაროს“ წევრებისა და „კანონიერი ქურდების“ საქმიანობაზე, მათი შესაძლო დანაშაულებრივი კავშირების გამოვლენის მიზნით.

- სასჯელაღსრულების დაწესებულებების პერსონალის საქმიანობაზე მონიტორინგი

ასევე მნიშვნელოვანია, კონტროლის განხორციელება დაწესებულების თანამშრომლების საქმიანობაზე, პატიმრებთან შესაძლო სხვადასხვა კორუფციულ გარიგებაში შესვლის პრევენციისა და აღკვეთის მიზნით.

• ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების მატერიალური და ფინანსური შესაძლებლობების შესუსტება

- დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევა

ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებებისა და საქმიანობის განვითარებისთვის აუცილებელია გარკვეული ფინანსური რესურსების არსებობა. ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლებისა და ქონების ჩამორთმევა. ამ მიზნით, მნიშვნელოვანია უკანონოდ მიღებული შემოსავლების/ქონების გამოვლენა და კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

• ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება

- ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართული უწყებების თანამშრომელთა პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება

ორგანიზებული დანაშაულის ახალი ფორმების, მისი პრევენციისა და მასთან ბრძოლის (მათ შორის გამოძიების) ინოვაციური მეთოდების დაუფლების მიზნით აუცილებელია პასუხისმგებელი უწყებების თანამშრომელთა ტრენინგი (მათ შორის, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში აკრძალული ნივთების შეღწევის თავიდან აცილების მიზნით, პენიტენციალური სისტემის თანამშრომელთა ტრენინგები).

- ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართული უწყებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება

ორგანიზებული დანაშაულის კომპლექსურობიდან გამომდინარე, აუცილებელია მის პრევენციასა და წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართულ უწყებებს გააჩნდეთ თანამედროვე აღჭურვილობა და ტექნოლოგიები, ისევე როგორც შესაბამისი სამუშაო გარემო.

• ორგანიზებული დანაშაულისა და მასთან დაკავშირებული საფრთხეების შესახებ ბიზნეს სექტორის ინფორმირებულობის გაზრდა

- ბიზნეს წრეების ინფორმირება

ორგანიზებული დანაშაულისა და მასთან დაკავშირებული საფრთხეების შესახებ, ბიზნეს წრეების ინფორმირების მიზნით, აუცილებელია შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება. ასევე, მნიშვნელოვანია ბიზნეს წრეებთან საჭიროებისამებრ აღნიშნულ საკითხებზე საინფორმაციო შეხვედრების გამართვა.

• ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება სახელწიფო საზღვარზე

სახელმწიფო საზღვარზე ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით მნიშვნელოვანია საქართველოს საზღვრის მართვის სტრატეგიის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

## 1.2. გატაცებული ავტომობილების გამოვლენა

ავტომობილების გატაცება ორგანიზებული დანაშაულის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს. ამ მიმართულებით გატარებული პრევენციული ზომების შედეგად ქვეყნის შიგნით აღმოიფხვრა აღნიშნული სახის დანაშაული. თუმცა, სავსებით შესაძლებელია, საქართველოში საზღვარგარეთის ქვეყნებში გატაცებული ავტომობილების

შემოყვანა მათი რეალიზაციისა ან/და სხვა სახელმწიფოში ტრანსპორტირების მიზნით. აღნიშნული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისათვის საჭიროა დახვეწილი საინფორმაციო ბაზა და გამოვლენის თანამედროვე მეთოდები.

2012 წლის იანვრიდან შსს-ს მომსახურების სააგენტოს გააჩნია წვდომა ინტერპოლის გენერალური სამდივნოს მოპარულ ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მონაცემთა ბაზაზე, FIND პროექტის მეშვეობით, რომლის შედეგადაც ავტომატურ რეჟიმში შესაძლებელი გახდა საქართველოში რეგისტრირებული, განსაბაჟებელი და რე-ექსპორტზე გასაყვანი ავტომანქანების გადამოწმება.

**მიზანი**

**• გატაცებული ავტომობილების იდენტიფიკაცია**

**– საექსპერტო შემოწმება**

მოპარული ავტომობილების გამოსავლენად აუცილებელია გაგრძელდეს სატრანსპორტო საშუალებების, მათი თანმხლები დოკუმენტაციის შემოწმება, ისევე როგორც მათი საიდენტიფიკაციო მონაცემების დეტალური გამოკვლევა.

**- შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა საინფორმაციო ბაზაში შემოწმება**

ასევე მნიშვნელოვანია გაგრძელდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა საინფორმაციო ბაზაში ავტომობილების შემოწმება ძებნილობაზე, როგორც პირველადი რეგისტრაციის, ისე ყოველი შემდეგი გადაფორმებისას.

**- ინტერპოლის საინფორმაციო ქსელით ძებნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებების მონაცემთა ბაზაში შემოწმება**

2012 წლიდან სატრანსპორტო საშუალებები მოწმდება ინტერპოლის საინფორმაციო ქსელით ძებნილ ავტოსატრანსპორტო საშუალებების მონაცემთა ბაზაში. გატაცებული ავტომობილების გამოსავლენად მნიშვნელოვანია აღნიშნული ღონისძიების გაგრძელება.

## 1.3. კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა

კიბერდანაშაული 21-ე საუკუნის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა და მისი მასშტაბების გათვალისწინებით, განსაკუთრებულ მიდგომას საჭიროებს. ეს, თავის მხრივ, სახელმწიფო, კერძო თუ არასამთავრობო სექტორებს შორის აქტიურ თანამშრომლობას მოითხოვს. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია სწორი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, რაც საგრძნობლად შეამცირებს კიბერდანაშაულით გამოწვეულ ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ხასიათის საფრთხეებს და შექმნის მეტად უსაფრთხო გარემოს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი განვითარებისათვის.

თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ ბიზნესის წარმოება უფრო ეფექტიანი და ხელმისაწვდომი გახადა. კომპანიებს გაუადვილდათ მომხმარებლისთვის პროდუქციისა და მომსახურების შეთავაზება, თუმცა, კიბერსივრცეზე მზარდ დამოკიდებულებასთან ერთად, გაიზარდა კიბერდანაშაულის საფრთხეც. ინტელექტუალური საკუთრება და კომერციულად სენსიტიური ინფორმაცია ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფებისთვის მიმზიდველი სამიზნეებია. აქედან გამომდინარე, კიბერდანაშაულმა დიდი ზიანი შეიძლება მიაყენოს კერძო ბიზნესს.

კიბერდანაშაულზე სამართალდამცველების მიერ დროულ რეაგირებას რიგი ფაქტორები ართულებს. კიბერსივრცეს არ გააჩნია საზღვრები, რის შედეგადაც რთულდება დამნაშავეების იდენტიფიკაცია და სამართლებრივი დევნა.

კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში აუცილებელია მოქალაქეების, კერძო და საჯარო სექტორის ერთობლივი ძალისხმევა, კოორდინაციის მექანიზმების დახვეწა და საზოგადოებისა და კერძო სექტორის ცნობიერების ამაღლება კიბერ რისკებსა და საფრთხეებზე.

კიბერდანაშაულთან ბრძოლის მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოში სახელმწიფო ორგანოებისა და კერძო სექტორის კიბერსივრცეში გამართულ ფუნქციონირებას, ელექტრონული ტრანზაქციების უსაფრთხო განხორციელებასა და ქვეყანაში ეკონომიკისა და ბიზნესის შეუფერხებელ განვითარებას.

2008 წლიდან მოყოლებული, დაიწყო კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით. 2012 წლიდან მოქმედებს ,,საქართველოს კანონი ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ". საქართველოს მიერ რატიფიცირებულია ევროპის საბჭოს კონვენცია „კიბერდანაშაულის შესახებ". სრულად განახლდა სისხლის სამართლის კოდექსის XXXV თავი. ცვლილებები შეეხო საპროცესო კანონმდებლობასაც. დაემატა სპეციფიური საგამოძიებო მოქმედებები, ტერმინთა განმარტება და სხვა. შემოღებულ იქნა იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა კიბერდანაშაულის ჩადენისათვის. დაიხვეწა ინტელექტუალური საკუთრების შესახებ მუხლი (საავტორო, მომიჯნავე უფლების მფლობელისა და მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლების ხელყოფა). დაიხვეწა ბავშვთა პორნოგრაფიის მუხლი. ცვლილებები შევიდა ასევე საქართველოს კანონებში „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ." ასევე შეიქმნა კომპიუტერულ ინციდენტებზე რეაგირების ჯგუფი (CERT), რომელიც უფლებამოსილია, განახორციელოს კიბერსივრცის მონიტორინგი კომპიუტერული ინციდენტების გამოვლენისა და მართვის მიზნით, განსაზღვროს და გაატაროს კიბერუსაფრთხოების პოლიტიკა, ასევე განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებები. კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენციას წარმოადგენს. ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში შექმნილია კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო, რომელიც მოიცავს კიბერდანაშაულის საერთაშორისო საკონტაქტო პუნქტს 24/7.

შსს-ში ასევე ფუნქციონირებს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს კომპიუტერულ-ციფრული ექსპერტიზის ქვეგანყოფილება, რომელიც ახორციელებს საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მიღებული ციფრული მტკიცებულებების ექსპერტიზას.

**გამოწვევები**

თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვასთან ერთად, იზრდება კიბერსაფრთხეები და მასთან დაკავშირებული დანაშაულებრივი ქმედებები. კიბერკრიმინალები სწრაფად პოულობენ ახალი ტექნოლოგიების სისუსტეებს და ახდენენ მათ უკანონო ექსპლუატაციას. ტრადიციული დანაშაულისგან განსხვავებით, კიბერდანაშაულს აქვს გლობალური ხასიათი და მსხვერპლი შეიძლება აღმოჩნდეს პლანეტის ნებისმიერ ადგილას. სწორედ ამიტომ, პრობლემატურია კიბერდანაშაულთან ბრძოლა, კიბერდანაშაულის აღმოჩენა, გამოძიება და კიბერდამნაშავეების დასჯა.

დამნაშავეები დანაშაულებრივ საქმიანობაში ხშირად მიმართავენ კიბერდანაშაულის ისეთ სახეებს, როგორიცაა: კომპიუტერულ სისტემაზე უნებართვო წვდომა, მონაცემთა ხელში ჩაგდება, მონაცემთა ხელყოფა, სისტემაში ჩარევა, მოწყობილობათა ბოროტად გამოყენება, კომპიუტერთან დაკავშირებული თაღლითობა, საბანკო თაღლითობა, ბავშვთა პორნოგრაფიასთან დაკავშირებული დანაშაული, საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დარღვევასთან დაკავშირებული დანაშაული, არაფინანსური დანაშაულის ისეთი სახეები, როგორიცაა მუქარა, შეურაცხყოფა და სხვა. დამნაშავეების სამიზნეა ასევე ადამიანთა პირადი ცხოვრება.

აღნიშნული მიმართულებით საკანონმდებლო ბაზის დახვეწის აუცილებლობა, საზოგადოების ინფორმირებულობის დაბალი მაჩვენებელი, სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის კოორდინაციის ნაკლებობა და კიბერდანაშაულთან ბრძოლის კუთხით სახელმწიფოს როლის გაზრდის აუცილებლობა კვლავაც გამოწვევად რჩება.

**მიზნები**

- **საზოგადოების ცნობიერების ამაღლება**

**- საზოგადოების ინფორმირება კიბერდანაშაულისა და მისგან გამოწვეული ზიანის შესახებ**

კიბერდამნაშავეები არამარტო აზიანებენ კრიტიკულ ინფორმაციულ სისტემებს, აგრეთვე იყენებენ კიბერსივრცეს სხვადასხვა დანაშაულის ჩასადენად. კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის მიზნით, აუცილებელია საინფორმაციო კამპანიების წარმოება (სოციალური ქსელები, შესაბამისი უწყებების ვებგვერდები და სხვა) კიბერდანაშაულისა და მისგან გამოწვეული ზიანის შესახებ. ასევე მნიშვნელოვანია აღნიშნულის შესახებ სკოლებში სამართალდამცავი უწყებებისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელთა მიერ მოსწავლეების ინფორმირება. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, თუ როგორ დაიცვას თავი კიბერდანაშაულისგან, უნდა გააჩნდეს ინფორმაცია პოტენციური საფრთხეების, მათი იდენტიფიცირებისა და მათზე რეაგირების შესახებ.

- **საკანონმდებლო ბაზის დახვეწა**

- **კიბერდანაშაულთან ბრძოლის სფეროში საკანონმდებლო ბაზის პერიოდული გადახედვა და საჭიროებისამებრ ცვლილებების შეტანა**

კიბერდანაშაულთან ბრძოლაში საკანონმდებლო ბაზის გადახედვისა და განახლების აუცილებლობა განპირობებულია იმ ფაქტით, რომ თანამედროვე მსოფლიოში შეუქცევადად მიმდინარეობს ტექნოლოგიური პროგრესი. ეს უკანასკნელი კი ზრდის იმის საშიშროებას, რომ კიბერსივრცის გამოყენებით ჩადენილ იქნეს უპრეცედენტო მასშტაბის დანაშაულები. საჭიროა ტექნოლოგიური პროგრესის შესაბამისად იხვეწებოდეს საკანონმდებლო ბაზა, რათა სამართლებრივად შესაძლებელი გახდეს კიბერსივრცეში ჩადენილ ქმედებებზე რეაგირება. სხვაგვარად, შესაძლებელია შეიქმნას სიტუაცია, როდესაც საკანონმდებლო ხარვეზის გამო შესაძლოა კონკრეტული კიბერდანაშაული სამართლებრივი რეაგირების გარეშე დარჩეს.

აუცილებელია სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს კიბერსივრცეში ჩადენილ დანაშაულთა შემდგომი კლასიფიკაცია, ასევე მოხდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ციფრულ მტკიცებულებებთან დაკავშირებით რამდენიმე საპროცესო ღონისძიების ინკორპორირება. ამასთანავე, შინაგან საქმეთა სამინისტრომ უნდა შეიმუშაოს შიდაუწყებრივი დოკუმენტი, რომელიც დაარეგულირებს ციფრული მტკიცებულებების ამოღების, პირველადი მოპყრობისა და მისი შემდგომი ექსპერტიზის საკითხებს. აღნიშნული შესაძლებელს გახდის სამართლებრივ დონეზე განისაზღვროს ციფრული მტკიცებულებების მოპოვებისა და მათი შემდგომი დამუშავების წესები, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს ამ მტკიცებულებათა დაზიანების ან ფალსიფიკაციის საფრთხეს. ასევე, არანაკლებ მნიშვნელოვანია ინტერნეტ სერვის პროვაიდერების ვალდებულებების გადახედვა საკანონმდებლო დონეზე, ანალიზი და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების ინიციირება. აღნიშნული კიდევ უფრო გააღრმავებს ინტერნეტ სერვის პროვაიდერებსა და სახელმწიფოს შორის კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობას.

- **კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში სახელმწიფოს როლის გაძლიერება**

- **კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართული უწყებების შესაძლებლობების განვითარება**

აუცილებელია კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართული უწყებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარება, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ტრენინგებისა და სასწავლო ვიზიტების განხორციელება. სახელმწიფომ უნდა გააძლიეროს კრიტიკული ინფორმაციული სისტემების უსაფრთხოება, კიბერდანაშაულის გამოვლენისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის შესაძლებლობები. აუცილებელია ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარება. მნიშვნელოვანია საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს შესაძლებლობების განვითარება ციფრულ მტკიცებულებებთან (კიბერკრიმინალისტიკა) მუშაობის კუთხით.

- **სამართალდამცავ სტრუქტურებსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის გაღრმავება**

- **კერძო სექტორის ინფორმირებულობის გაზრდა**

კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში სამართალდამცავ სტრუქტურებთან ერთად აუცილებელია ბიზნესის მონაწილეობაც. დასაცავი ინფრასტრუქტურის უდიდეს ნაწილს ფლობს და ოპერირებს სწორედ კერძო სექტორი. აუცილებელია კომპანიების ინფორმირება, თუ როგორ დაიცვან კომერციულად სენსიტიური ინფორმაცია, ინტელექტუალური საკუთრება, მომხმარებელთა მონაცემები და როგორ მოახდინონ რეაგირება მსგავსი ტიპის დანაშაულზე. ამ კუთხით აუცილებელია ბიზნესზე ორიენტირებული საინფორმაციო კამპანიების წარმოება. ასევე აუცილებელია ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან საჭიროებისამებრ საინფორმაციო შეხვედრების გამართვა.

- **საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება**

კიბერუსაფრთხოების სფეროში, საერთაშორისო ინიციატივებში აქტიური მონაწილეობის მიღება და სხვა ქვეყნებთან ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში თანამშრომლობის ინიციირება, ასევე აღნიშნულ სფეროში მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციებთან (OECD, EU, OSCE, NATO, UN, ITU, CoE) და სახელმწიფო ორგანოებთან თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავება, კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

კიბერდანაშაულის ეფექტური გამოძიებისთვის 24/7 საერთაშორისო თანამშრომლობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ყველა სხვა პროცედურა დროში გაწელილია და ამ პერიოდში სავსებით შესაძლებელია ციფრული მტკიცებულებების განადგურება. შესაბამისად, კიბერდანაშაულის კონვენციით გათვალისწინებული 24/7 საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით შესაძლებელია კიბერ სივრცეში

ჩადენილი დანაშაულების ცხელ კვალზე გამოძიება.

## 2. საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში

საქართველოს ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობა უდიდეს ყურადღებას უთმობს ევროკავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასთან შედეგზე ორიენტირებულ მჭიდრო თანამშრომლობას.

ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის კუთხით, საქართველო არის „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის შესახებ“ გაერო-ს 2000 წლის კონვენციის (პალერმოს კონვენცია) და მისი ორი დამატებითი ოქმის, აგრეთვე „კიბერდანაშაულის შესახებ“ 2001 წლის ევროპის საბჭოს კონვენციის, „სისხლის სამართლის საქმეებზე ურთიერთდახმარების შესახებ“ კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმის წევრი.

**• ორმხრივი თანამშრომლობის განვითარება**

ამ დრომდე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის/პოლიციის სფეროში (მათ შორის: ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში) ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს მსოფლიოს 20 ქვეყანასთან. საერთაშორისო თანამშრომლობის კუთხით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია აღნიშნული ორმხრივი საერთაშორისო სამართლებრივი ბაზის განვითარება და გაფართოება. აქედან გამომდინარე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიმუშავა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების სამოდელო პროექტი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნა საქართველოს პარტნიორ ქვეყნებს, მათ შორის NATO-სა და ევროკავშირის ყველა ქვეყანას და აგრეთვე შესაბამის არაბულ ქვეყნებს. შეთანხმებები რამდენიმე ქვეყანასთან უკვე მზად არის ხელმოსაწერად, დანარჩენი კი მოლაპარაკებებისა და განხილვის პროცესშია.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის მნიშვნელოვანია საქართველოს მეზობელ ქვეყნებთან ორმხრივი სამუშაო ჯგუფების ფარგლებში არსებული თანამშრომლობის შენარჩუნება, განვითარება და გაძლიერება. ხსენებული სამუშაო ჯგუფების შეხვედრები იმართება წელიწადში ერთხელ ან საჭიროებისამებრ, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში არსებული საჭირბოროტო საკითხების განსახილველად, ინფორმაციისა და საკონტაქტო დეტალების გასაცვლელად.

ორმხრივი თანამშრომლობის კუთხით, ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება პოლიციის ატაშეების/მეკავშირე ოფიცრების ფარგლებში არსებული თანამშრომლობის შენარჩუნებას, განვითარებასა და გაძლიერებას. აღნიშნული თანამშრომლობა საკმაოდ სწრაფი, მოქნილი და ეფექტურია ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სფეროში.

**• მრავალმხრივი თანამშრომლობის განვითარება**

სამომავლოდ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო გეგმავს განიხილოს გაერო-სა და ევროპის საბჭოს იმ შესაბამისი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტების სავალდებულოდ აღიარების შესაძლებლობა, რომლებიც არეგულირებენ ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებულ საკითხებს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო თავისი კომპეტენციის ფარგლებში პერიოდულად ამზადებს ანგარიშებს საქართველოს მიერ სავალდებულოდ აღიარებული კონვენციების იმპლემენტაციის თაობაზე.

ამასთანავე, მნიშვნელოვანია, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის დონეზეც მოხდეს საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტებით გათვალისწინებული საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხების დარეგულირება. ამ მხრივ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო გეგმავს დაიწყოს უკვე არსებულ კანონმდებლობაში ცვლილებების ან ახალი საკანონმდებლო აქტების ან/და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მომზადებაზე მუშაობა შესაბამისი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტებით გათვალისწინებული ვალდებულებების იმპლემენტაციის მიზნით.

**• რეგიონული თანამშრომლობის განვითარება**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის მნიშვნელოვანია რეგიონული თანამშრომლობის მექანიზმების აქტიური გამოყენება და განვითარება ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში.

- **სუამ-ის (საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი და მოლდოვა) ფარგლებში არსებული თანამშრომლობის შენარჩუნება, განვითარება და გაძლიერება**

სუამ-ის ფარგლებში მოქმედებს 2002 წლის 20 ივლისის შეთანხმების საფუძველზე შექმნილი ტერორიზმის, ორგანიზებული დანაშაულისა და სხვა მძიმე დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაო ჯგუფი, რომელიც თავის მხრივ შედგება ფულის გათეთრებისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის, ადამიანებით ვაჭრობისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაო ქვეჯგუფებისგან, ხოლო კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაო ქვეჯგუფი შექმნის პროცესშია. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო სუამ-ის სამართალდამცავი ცენტრის მეშვეობით აქტიურად არის ჩართული აღნიშნული ქვეჯგუფების საქმიანობაში.

გარდა ამისა, 2003 წელს ქ. იალტაში ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე სუამ-ის წევრი ქვეყნების სამართალდამცავ ორგანოებში ფუნქციონირებს ეროვნული ვირტუალური ცენტრები, რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით, რაც იძლევა ოპერატიული ინფორმაციის დაცული არხებით სწრაფი გაცვლის საშუალებას, აგრეთვე შესაძლებელს ხდის ერთობლივი ოპერაციების დროს პირდაპირი კომუნიკაციის დამყარებას და ერთობლივი ვიდეო კონფერენციების ჩატარებას ონლაინ რეჟიმში.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სუამ-ის ფარგლებში არსებული თანამშრომლობის ეფექტურობის შენარჩუნებას, განვითარებასა და გაძლიერებას.

- **BSEC-ის (შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია) ფარგლებში არსებული თანამშრომლობის შენარჩუნება და განვითარება**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო მჭიდროდ თანამშრომლობს BSEC-ის წევრი ქვეყნების შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებთან 1998 წელს ხელმოწერილი შეთანხმებისა და მისი დამატებითი ოქმების ფარგლებში ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში.

BSEC-ის შეთანხმების 2002 წელს ხელმოწერილი დამატებითი ოქმით შექმნილია BSEC-ის წევრი ქვეყნების შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების მეკავშირე ოფიცერთა ქსელი, რაც ხელს უწყობს სამართალდამცავ ორგანოებს შორის თანამშრომლობის შესახებ მოთხოვნებისა და შესაბამისი ინფორმაციის გაცვლას. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აქტიურად იყენებს აღნიშნულ კომუნიკაციის საშუალებას თანამშრომლობის შესახებ მოთხოვნებისა და შესაბამისი ინფორმაციის გასაცვლელად, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს მოთხოვნების შესრულებას გონივრულ ვადაში.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს BSEC-ის ფარგლებში არსებული თანამშრომლობის ეფექტურობის შენარჩუნებას, განვითარებასა და გაძლიერებას.

• **SELEC-თან (სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სამართალდამცავი ცენტრი) თანამშრომლობის შენარჩუნება და განვითარება**

SELEC-ში საქართველოს ამჟამად გააჩნია დამკვირვებელი ქვეყნის სტატუსი, რაც საშუალებას აძლევს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, მიიღოს მონაწილეობა SELEC-ის ფარგლებში ორგანიზებულ შეხვედრებში, სემინარებსა და ტრენინგებში.

უახლოეს მომავალში შესაძლებელია განხილულ იქნეს SELEC-თან თანამშრომლობის უფრო მაღალ დონეზე გადასვლა.

· **Interpol-ის გენერალურ სამდივნოსთან თანამშრომლობის გაღრმავება**

მნიშვნელოვანია Interpol-ის გენერალურ სამდივნოსთან თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მხარდაჭერა და კოორდინაცია საერთაშორისო დონეზე ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში.

• **Europol - თან (ევროკავშირის სამართალდამცავი უწყება) თანამშრომლობის დამყარება და განვითარება**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია ევროპულ სტრუქტურებთან, განსაკუთრებით კი ევროპის კავშირის სამართალდამცავ უწყებასთან (ევროპოლი) მჭიდრო თანამშრომლობა. ევროპოლთან თანამშრომლობის ორი ძირითადი ფორმა არსებობს: სტრატეგიული და ოპერატიული დონის თანამშრომლობა. დღეისათვის საქართველოს შინაგან

საქმეთა სამინისტრო აწარმოებს მოლაპარაკებებს ევროპოლთან სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმების დადებასთან დაკავშირებით, რომლის გაფორმებაც იგეგმება უახლოეს მომავალში.

**• CEPOL–თან (ევროპის პოლიციის კოლეჯების გაერთიანება) მჭიდრო თანამშრომლობის შენარჩუნება და გაძლიერება**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ სამართალდაცვით სფეროში ევროპის საგანმანათლებლო ორგანიზაციასთან (CEPOL) თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება გააფორმა 2011 წელს. აღნიშნული შეთანხმება ითვალისწინებს შსს აკადემიასა და CEPOL-ს შორის გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაცვლის, ტრენინგების, სემინარებისა და სამუშაო შეხვედრების ორგანიზების კუთხით პოლიციის თანამშრომელთა უნარების ამაღლებაში თანამშრომლობას. სამომავლოდ, მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით თანამშრომლობის გაღრმავება, გაძლიერება და ხსენებული შეთანხმების სრული იმპლემენტაცია ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით.

**3. ეროვნულ დონეზე უწყებათშორისი კოორდინაცია**

**• ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართული უწყებების თანამშრომლობისა და კოორდინაციის გაუმჯობესება**

**- ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში უწყებათშორისი თანამშრომლობის გაღრმავება**

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობისთვის სამართალდამცავ უწყებებს შორის მნიშვნელოვანია ინფორმაციის გაცვლა და პერიოდული შეხვედრების გამართვა. საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნული დანაშაულის ეფექტური და სწრაფი გამოძიების ან/და აღკვეთის მიზნით, აუცილებელია ad hoc ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფების შექმნა.

**- ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს ინსტიტუციური გაძლიერება**

მნიშვნელოვანია ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს სამდივნოს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება, და ამ მიზნით ტრენინგებისა და სასწავლო ვიზიტების ორგანიზება, საერთაშორისო დონეზე მსგავს დაწესებულებებთან თანამშრომლობა და საუკეთესო გამოცდილების გაზიარება.

**- ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობა**

მნიშვნელოვანია საბჭოს საქმიანობის შესახებ ინფორმაციის შსს-ს ვებგვერდზე განთავსება და რეგულარული განახლება, საბჭოს სხდომების ოქმების რეგულარული გამოქვეყნება, საბჭოს საქმიანობაში არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობა. ასევე მნიშვნელოვანია ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ კონფერენციების გამართვა.

**4. დასკვნითი დებულებები**

აღნიშნული სტრატეგია შემუშავდა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში მიღწეული შედეგების შენარჩუნების, გაუმჯობესებისა და არსებული მექანიზმების დახვეწის მიზნით, ასევე საერთაშორისო რეკომენდაციების გათვალისწინებით. დოკუმენტში განხილულია ქურდული სამყაროსა და სხვა ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების წინააღმდეგ ბრძოლა, გატაცებული ავტომობილების გამოვლენა, კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება.

აღნიშნული სტრატეგიის საფუძველზე უნდა შემუშავდეს შესაბამისი სამოქმედო გეგმა, რომელშიც გაიწერება ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებები, მიზნები, გასატარებელი ღონისძიებები, ინდიკატორები, მოსალოდნელი შედეგები, განხორციელების ვადები, პასუხისმგებელი და პარტნიორი უწყებები, საჭირო ფინანსური რესურსები.

სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებლები არიან სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული შესაბამისი უწყებები. სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციაზე კონტროლს განახორციელებს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭო.

პასუხისმგებელი უწყებები, სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის ანგარიშს წარუდგენენ ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორის საკოორდინაციო საბჭოს.